F-171
1971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

**11–12**

დეკემბერი

F35725

თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**1971 წ., 24 სექტემბერი**

## ნორჩ მხაზველთა მე-9 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

ნორჩ მხაზველთა IX რესპუბლიკურმა კონკურსმა, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი, დიდად შეუწყო ხელი სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ხაზვაში მოსწავლეთა ცოდნის დონის გაღრმავებას, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებისა და ნებისყოფის სიმტკიცის გამომუშავებას, ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლინებას.

ნორჩ მხაზველთა IX რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 73 ქალაქის და რაიონის 811 სკოლის 10255 მოსწავლემ, რომლებმაც წარმოადგინეს 24525 ნახაზი და 4567 მოდელი.

ნორჩ მხაზველთა კონკურსის შედარებით მაღალ დონეზე ჩატარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლისა (ხაზვის კაბინეტის გამგე ქ. გიორგაძე) და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (საინჟინრო გრაფიკის კათედრის გამგე ს. ბურჭულაძე) ერთობლივმა მუშაობამ; ისინი სისტემატურად ატარებდნენ ლექციებს, კონსულტაციებს, თათბირ-სემინარებს თბილისის და რაიონის სკოლების ხაზვის მასწავლებლებისათვის.

გასულ სასწავლო წელს გასვლითი სემინარები მოეწყო ლაგოდეხსა, თელავსა და ხაშურში, ხოლო იანვრის არდადეგების დროს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრამ (ამხ. ს. ბუოჭულაძე) თბილისის ხაზვის მასწავლებელთათვის ჩაატარა 5 დღიანი სემინარი.

კარგად ხელმძღვანელობენ ხაზვის საქმეს ქ. თბილისის 62-ე (მასწ. ან შავგულიძე), 53 ე (მასწ. ი. ლომიძე), მე 8 (მასწ ბ. კაჭარავა), ქ. ქუთაისის მე 9 (მასწ. თ. ენდელაძე), ქ. სოხუმის მე 4 (მასწ. შ. ფიცხველია), თელავის 1-ლი (მასწ. ი. ფეიქრიშვილი) და რესპუბლიკის სხვა საშუალო სკოლებში. ზემო დასახელებულ სკოლებში ხაზვის კაბინეტები აღჭურვილია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ხაზვაში მკვიდრდება ტელევიზიით სანიმუშო გაკვეთილების გადაცემის პრაქტიკა და სხვ.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ქ ქუთაისის (ხელმძღვანელი ვ. ფერაძე), მახარაძის (ხელმძღვანელი ლ. ბაჯელიძე), ლაგოდეხის (ხელმძღვანელი მ. ქორიღლიშვილი) პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და სახლების ხაზვის კაბინეტები.

მე-9 რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს: ქ. თბილისის (გამგე თ. ეგაძე), ქ. თბილისის ლენინის (გამგე მ. გოგიტაძე), ქ. თბილისის 26 კომისრის (გამგე ს. ხოშტარია), ქ. ქუთაისის (გამგე ი. გენძეხაძე), ქ. სოხუმის (გამგე ლ. უჩანეიშვილი), თელავის (გამგე ალ. ნაღაშვილი), მახარაძის (გამგე ხ. ხავთასი), ახალციხის (გამგე ა. ახვლედიანი), ქ. გორის (გამგე ვ. ზექალაშვილი) განათლების განყოფილებებმა.

ნორჩ მხაზველთა მე-9 რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელი გამოფენა-შეჯიბრება, რომელიც მ/წლის მაისში ქ. თელავში მოეწყო, მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო. გასულ წელთან შედარებით გამოფენაზე წარმოდგენილი ნახაზები, მოდელები შესრულებული იყო ზუსტად, დახვეწილად, ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად და საკავშირო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების ცოდნით.

კონკურსზე განსაკუთრებით კარგად შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინეს შემდეგმა მოსწავლეებმა: გია მაჭავარიანმა (მახარაძის რუსული საშ. სკოლის VI კლასი), ანდრო მარჯანიშვილმა (ქუთაისის 23 ე საშ. სკოლის VII კლასი), ტარიელ ჟორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლიაშმა (ქუთაისის მე-17 საშ. სკოლის VII კლასი), ნუგზარ გაჩიაშვილმა (თელავის I საშ. სკოლის VII კლასი), თეიმურაზ ენდელაძემ (თბილისის I რკ. გზის საშ. სკოლის VI კლასი).

საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ქების სიგელით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ქ. ქუთაისის მე 9 საშუალო სკოლის მოსწავლე ირაკლი გაბრიაძე. მახარაძის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ალექსანდრე კუშაკოვი და თელავის I-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი წიქარაძე, ხოლო ქ. თბილისის რკინიგზის I საშუალო სკოლის მოსწავლე თეიმურაზ ენდელაძეს ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მიერ დაწესებული გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი გადაეცა.

თელავში შემაჯამებელი გამოფენის მოწყობისა და რესპუბლიკური შეკრების ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწია ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (დირექტორი შ. დევდარიანი) და თელავის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ნადაშვილი). აღსანიშნავია თელავის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის (ა. თვალიაშვილი), სკოლა-ინტერნატის დირექტორის (ვ. მუზაშვილი), თელავის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილის (გ. მთვარელიშვილი), თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორის (ც. ვარდიაშვილი), თელავის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტის (ს. ძამუკაშვილი), თელავის I საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებლის (ვ. ფეიქრიშვილი), წინანდლის საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებლის (გ. ელიზბარაშვილი), თელავის მე 4 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებლის (ვ. დათუკაშვილი), თელავის I და მე 4 საშ. სკოლების შრომის მასწავლებლების (ვ. ბაქრაძე და ი. სუხიტაშვილი) აქტიური მონაწილეობა შეკრების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

კონკურსის მომზადებისა და ჩატარების დროს ზემოაღნიშნული წარმატებების მიუხედავად, ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც: ოლიმპიადების ჩატარებაში კვლავ არ მიუღიათ მონაწილეობა: ყაზბეგის, ჯავის, მესტიის, ქედის, ყვარლის, აბაშის, ლენტეხის, გეგეჭკორის, წალენჯიხის რაიონების სკოლებს. წარუმატებლობით აღინიშნება ფოთის, ზესტაფონის, ბორჯომის, სამტრედიის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ტყიბულის რაიონების სკოლების მონაწილეობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენს:

**1. ნორჩ მხაზველთა IX რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესოდ შესრულებული საგამოფენო ნახაზების, მოდელების წარმოდგენისა და საკონკურსო ამოცანების მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის დაჯილდოვდნენ:**

ა) პირველი ხარისხის დიპლომით—44 მოსწავლე;
ბ) მეორე ხარისხის დიპლომით—114 მოსწავლე.

**2. ნორჩ მხაზველთა IX რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმისა და წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოებულ იქნან სიგელებით:**

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტი.

ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის კაბინეტი;

თელავის, ხაშურის, ლაგოდეხის, მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ხაზვის კაბინეტები.

თბილისის 1-ლი, მე 6, მე 8, მე 9, მე-10, მე 11, მე 15, მე-19, 33-ე, 35-ე, 53-ე. 58-ე 62-ე, 75-ე, 66-ე, მე-80, 83-ე, 98-ე, 102-ე, 104-ე, 110-ე, 112-ე, 114-ე, 116-ე, 118-ე, 119-ე, 124-ე, 130-ე, 133-ე, სოხუმის 1-ლი, მე-4, მე-8, მე-10, მე-17, ბათუმის 1-ლი, მე-5, მე-7, მე-8, ქუთაისის 1-ლი, მე-3, მე 4, მე-7, მე-9, მე-10, მე-14, მე-17, 23-ე, 24-ე, 31-ე, მახარაძის რუსული, მე 3, გაგრის მე 3, ტყვარჩელის მე 3, თელავის 1-ლი, მე-5, რუსული, წინანდლის, ნაფარეულის, ახალციხის 1-ლი, მე-2, მე-3, რუსთავის მე 3, მე-19, ძეგვის, მუხრანის, ქვიშხეთის, სურამის მე-3, ჩხოროწყუს რაიონის ხაფიჩხაუს, ლაგოდეხის ქართული, რუსული, გორის მე-6, მე-7, მე 8, ცხინვალის 1-ლი, მე-4, ცხაკაიას მე 3 და ვანის რაიონის უხუთის საშუალო სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**3. ნორჩ მხატვართა საქალაქო და რესპუბლიკური კონკურსის მომზადებასა და ორგანიზებულად ჩატარებაში წლების მანძილზე აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით მასწავლებლები:**

1. ლომაძე იური იაკინთეს ძე—თბილისის 53-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
2. ხუციძე ალბერტი პოლიკარპეს ძე – ქუთაისის მე 3 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
3. ენდელაძე თამაზ ნიკოლოზის ძე – ქუთაისის მე-9 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
4. ქოროღლიშვილი მაყვალა პავლეს ასული— ლაგოდეხის საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
5. ქარკოვი გიორგი ევგენის ძე—თბილისის 35-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
6. ასტვაცატუროვი არმენაკ ამიაკის ძე—თბილისის 124-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
7. ყავლაშვილი გერასიმე ზურაბის ძე— ცხინვალის 1-ლი საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

**4. სიგელით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:**

1. ცალუღელაშვილი ალექსანდრე როსტომის ძე—თბილისის მე-6 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
2. პევზნევი თევდორე სერგის ძე—თბილისის მე 9 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
3. კოვალი ვლადიმერ სერგის ძე—თბილისის მე-11 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
4. ლაპტევი ალექსანდრე იოსების ძე — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
5. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე—თბილისის მე-19 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
6. ალექსანიანი რუბენ სარქისის ძე—თბილისის 23-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი
7. ეფრემაშვილი მიხეილ სიმონის ძე—თბილისის 58-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

8. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე—თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

9. ჩხარტიშვილი არიადნა პარმენის ასული—თბილისის 75-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

10. აკოვიანი სილვა აიკის ასული—თბილისის მე-80 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

11. პაპოიანი როზა აგაშის ასული—თბილისის 98-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

12. შადიკიანი ეძა სტეფანეს ასული—თბილისის 104-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

13. კაჭარავა ბიჭიკო ბაგრატის ძე—თბილისის 112-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

14. გერმანაშვილი რევაზ ალექსის ძე—თბილისის 114-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

15. ძირტკბილაშვილი ავთანდილ იოსების ძე—თბილისის 118-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

16. სვირიდი ვასილ ნიკოლოზის ძე—თბილისის 119-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

17. აჯიაშვილი დავით გიორგის ძე—თბილისის 119-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

18. ფოცხვერია შალვა მიხეილის ძე—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

19. კოგანი დიანა ალექსანდრეს ასული—სოხუმის მე-10 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

20. აზნაურიანი აშოტ მიხეილის ძე—ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

21. ფხაკაძე ნინო ერასტის ასული—ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

22. ფერაძე ვლადიმერ გიორგის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის წრის ხელმძღვანელი

23. ბარბაქაძე შალვა შალვას ძე—ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

24. ლორთქიფანიძე ანატოლი ბენიამინის ძე—ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

25. კაპანაძე გიორგი ილიას ძე—ქუთაისის მე-4 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ფირჩხაძე დავით იოსების ძე—ქუთაისის მე 10 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

27. კუხიანიძე გოშია ანტონის ძე—ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

28. ჩიქოვანი თამაზ კონსტანტინეს ძე—ქუთაისის 23-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

29. მუქბანიანი ნოდარი ქიშვარდის ძე—ქუთაისის 24-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

30. ჩიჩალუა თენგიზ სტეფანეს ძე—ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

31. ბაქრაძე რომეო შალვას ძე—ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

32. ცაგურია ვერა ივანეს ასული—ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

33. პარკაია ოთარ აკაკის ძე—ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

34. გაჩეჩილაძე ევპიდე პიმენის ასული—გორის მე 6 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

35. მეშეშიანი ევგენია არტემის ასული—გორის მე-7 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

36. ფირცხალავა ტარიელ ზაქარიას ძე—ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვუს საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

37. კონდრატიევა ადელი ვიქტორის ასული—თელავის რუსული საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

38. კიტია გიორგი ვლადიმერის ძე—გორის მე-8 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

39. ფეიქრიშვილი ივანე ზაქარიას ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

40. ელიზბარაშვილი გიორგი ივანეს ძე—თელავის რაიონის წინანდლის საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

41. ბეიტრიშვილი რევაზ ალექსის ძე—დუშეთის რაიონის მაღაროს საშ სკოლის ხაზვის მასწავლებელი

42. მაჭარაშვილი ვასილი პარმენის ძე—სურამის მე 2 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

43. ზუბითიძე გიორგი გერმანეს ძე—ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

44. მერაბიანი ვლადიმერ დერენიკის ძე—ახალციხის მე-2 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

45. სტურუა შოთა კონსტანტინეს ძე—მცხეთის რაიონის ძეგვის საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

5. 1971 წლის სექტემბრიდან 1972 წლის 25 მაისამდე ჩატარდეს ნორჩ მხატვართა X რესპუბლიკური კონკურსი.

შეკრება და შემაჯამებელი გამოფენა მოეწყოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, 1972 წლის მაისში.

**6. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:**

1. ჩხიკვაძე აკაკი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე)

2. ლომიძე ზურაბ—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

3. დევდარიანი შოთა—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

4. ბურჭულაძე სერგო—საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის გამგე (მოადგილე)

5. დარსალია ქეთევანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

6. ჯოხაძე ნინო—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტექნიკისა და მეცნიერების განყოფილების გამგე

7. გიორგაძე ქეთევანი—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე

8. მაღანია ელია—საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი

9. ბარბაქაძე სიმონი—საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სვანიძე გივი—თბილისის მე-4 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

11. მაჭავარიანი დიმიტრი—თბილისის მე-19 საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი

12. კაჭარავა ბიჭიკო—თბილისის 112-ე საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელი.

7. ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით 1971 წ. სექტემბერ-ნოემბერში მიავლინოს ნორჩ მხაზველთა კონკურსის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ზონების ცენტრებში—სოხუმსა, ბათუმსა და ქუთაისში ხაზვის მასწავლებელთათვის ერთდღიანი სემინარის ჩასატარებლად.

8. ეთხოვოს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლესთან ერთად შეიმუშაოს ხაზვის მასწავლებლებთან სემინარების ჩატარების გეგმა.

9. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივნებს:

ა) კონკურსის ჩატარებაში ფართოდ ჩააბან სკოლები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები და უზრუნველყონ ზემოჩამოთვლილი დაწესებულებებისა და სკოლების საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში კონკურსის თემატური საკითხების გათვალისწინება.

ბ) სკოლის დირექტორების, სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა, კლასის ხელმძღვანელებისა და უფროს პიონერხელმძღვანელთა მეთოდურ თათბირებზე განიხილონ კონკურსის ჩატარების პირობები და უზრუნველყონ კონკურსში პიონერთა და მოსწავლეთა ჩაბმა.

გ) პერიოდულად მოსმენილ იქნას სახალხო განათლების საბჭოებისა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე ნორჩ მხაზველთა X რესპუბლიკუ-

რი კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხები და დასახულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს ხაზვის კაბინეტში შემოიღოს ნორჩ მხაზველთა ღია კარის დღე ხაზვის მასწავლებლებისა და ნორჩი მხაზველებისათვის.

11. დაევალოს საგეგმო საფინანსო სამმართველოს (ამხ. ა. ქვაჭაძე) აღნიშნული ღონისძიებისათვის ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო რაოდენობის თანხა.

12. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს (ამხ. ს. არველაძე) განათლების განყოფილებებს და ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს მე 10 რესპუბლიკური კონკურსისათვის საჭირო რაოდენობის სახაზავი ქაღალდი.

13. დაევალოს გაზეთების „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებს პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ნორჩ მხაზველთა მე 10 რესპუბლიკური კონკურსის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

14. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. ა. ჩხიკვაძე) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილებას (ამხ. ზ. ლომიძე) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ჯ. პატიაშვილი

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება

1971 წლის 24 დეკემბერი

## ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, ხელი შეუწყო მოსწავლეთა შორის სასარგებლო შრომითი ჩვევების დანერგვას, მათ მასობრივ ჩაბმას საკუთარი სკოლის, ქუჩის, ეზოს გამწვანების, დეკორაციული კუთხეების, ხეივნების მოწყობისა და ბუნების დაცვის საქმეში.

ამ ღონისძიებამ გამოუმუშავა მოსწავლეებს ბუნებაში ფენოლოგიური დაკვირვებების უნარი, გაუღრმავა ინტერესი მშობლიური მხარის ფლორისა და ფაუნის, ცხოველთა და მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისადმი, რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა ბუნების ნორჩ მეგობართა საქმიანობა მოეწყო ბუნების ნორჩ მეგობართა მასობრივი მოძრაობა-ლაშქრობა ბუნების დაცვისა და გამდიდრების მიზნით, ეროზირებულ ნიადაგებზე გაშენდა ხე და ბუჩქოვანი მცენარეები.

შეკრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების სექციებისა და მწვანე საგუშაგოების 100-მდე წარმომადგენელმა. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკურ შეკრებაზე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეკრების მონაწილეებმა გამოფენისათვის წარმოადგინეს საუკეთესო ექსპონატები,

მუშაობის ამსახველი ფოტოვარები, დიაგრამები, სანერგეებისა და საცდელი ნაკვეთების გეგმები, მათ მიერ გამოყვანილი ნერგები, ფენოლოგიური დაკვირვებები, საინტერესო მცენარეთა ჰერბარიუმები, მავნე მწერთა კოლექციები და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის ამსახველი მასალები.

შეკრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 30 რაიონის და ქ. თბილისის სკოლების 60-მდე ბუნების ნორჩ მეგობართა სასკოლო სექციამ.

გამოფენაზე განსაკუთრებით საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს ქარელის რაიონის კეხიჯვრის საშ. სკ. და ქვემოხვედურეთის რვაწლიანი, ტყიბულის მე-6 და მე-3 საშუალო, ქუთაისის 1-ლი, მე-3, მე-4, ცაგერის 1-ლი და ლვანის, გორის რაიონის შინდისის, სიღნაღის რაიონის წნორის, ახმეტის, წყალტუბოს რაიონის—მექვენის, პატრიკეთის საშუალო სკოლებმა; ცხინვალის, ტყიბულის, ბორჯომის, ახმეტის, წითელწყაროს პიონერთა სახლებმა და ქუთაისის, ჭიათურის პიონერთა სასახლეებმა; თბილისის მე-14, მე-19, 62-ე, 68-ე, 134-ე, 140-ე საშუალო სკოლების ბუნების ნორჩ მეგობართა სექციებმა.

აღსანიშნავია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის მუშაობა ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკური შეკრების ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებაში.

მიუხედავად სასარგებლო საქმიანობისა, რომელსაც ატარებს ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ საზოგადოების ჩამოყალიბებას, მასში მოსწავლეთა მასობრივ ჩაბმას, მე-6 რესპუბლიკურ შეკრებაში ნაკლებად მონაწილეობდიენ ზუგდიდის, მახარაძის, ბათუმის, ქობულეთის, ამბროლაურის, ჯავის, გუდაუთის, სოხუმის და სხვა რაიონების სკოლები.

საქართველოს ალკკ ცკ სამდივნო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენს:

§ 1. ბუნების ნორჩ მეგობართა მეექვსე რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოვდეს 79 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ II. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელე-ბით დაჯილდოვდეს 10 მოსწავლე.

## § III. კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომე-ბით დაჯილდოვდნენ:

1. ქარელის რაიონის ქვემო ხვედურეთის რვაწლიანი სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

2. სიღნაღის რაიონის წნორის საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

3. გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

4. ქარელის რაიონის კეხიჯვარის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

5. საგარეჯოს რაიონის წყაროსთავის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

6. ლანჩხუთის რაიონის ქვიანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

7. მცხეთის რაიონის წილკანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

8. ზესტაფონის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

9. ცაგერის რაიონის ლვანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

10. ცაგერის რაიონის პირველი საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

11. ცხინვალის ნატურალისტთა სადგურის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

12. გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

13. სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

14 წითელწყაროს რაიონის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

15. ბორჯომის რაიონის წაღვერის საშუალო სკოლის ბუნე-ბის ნორჩ მეგობართა სექცია.

16. ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

17. თელავის რაიონის რუისპირის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

18. საგარეჯოს რაიონის 1 საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

19. თბილისის 140-ე საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

20. თბილისის 88-ე საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

21. თბილისის 134-ე საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

22. ლაგოდეხის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

23. წყალტუბოს რაიონის მექვენის რვაწლიანი სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

24. თერჯოლის რაიონის ზედა-საზანოს ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

25. ახმეტის რაიონის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

26. ახმეტის რაიონის ქვემოალვანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

27. ახმეტის № 2 საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

28. ახმეტის პირველი საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

29. ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

30. ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

31. სოხუმის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

32. წყალტუბოს რაიონის პატრიკეთის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

33. წყალტუბოს რაიონის გუმბრინის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

34. წყალტუბოს რაიონის მაღლაკის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

35. წყალტუბოს რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

36. წყალტუბოს რაიონის მუხიანის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

37. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

38. ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

39. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

40. ახმეტის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

41. ახმეტის რაიონის საკუმბიანოს საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

42. ახმეტის რაიონის დუმასტურის საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

43. ახმეტის რაიონის ქისტაურის საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

44. ახმეტის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

45. ახმეტის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

46. ახმეტის რაიონის ფიჩხოვანის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

47. ახმეტის რაიონის ოსიაურის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

48. ახმეტის რაიონის ხოდაშენის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

49. ახმეტის რაიონის არგოხის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

50. ტყიბულის რაიონის ხრესილის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

51. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

Г3575

52. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

53. ლაგოდეხის საშუალო სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია.

## § IV. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკური შეკრების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:

1. ტალახაძე ნუნუ გიორგის ას.—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი;
2. ბერულავა ეთერი ნიკოლოზის ას.—სოხუმის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
3. კვინიხიძე თამარი ივანეს ას.—ქარელის რაიონის კეხიჯვარის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
4. ხარებაშვილი ნათელა ბაგრატის ას.—გორის რაიონის შინდისის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
5. პაპუაშვილი თამარი გიორგის ას.—წითელწყაროს პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექციის ხელმძღვანელი.
6. ნადირაძე მარო გიორგის ას.—სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
7. შანიძე დოდო დავითის ას.—სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
8. გამსახურდია ციალა ნიკოლოზის ას.—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლის პედაგოგი.
9. ხალვაში ოლია არტემის ას.—ლანჩხუთის რაიონის ქვიანის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
10. კვესაძე ნელი ვახტანგის ას.—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლის პედაგოგი.
11. სოზაშვილი მელსი გიორგის ას.—საგარეჯოს რაიონის წყაროსთავის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.
12. მედანია ეთერი აპოლონის ას.—ჭიათურის ბუნების ნორჩ მეგობართა სექციის ხელმძღვანელი.
13. ჩარაშვილი ნუნუ რევაზის ას.—ცხინვალის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის ბიოლოგიის წრის ხელმძღვანელი.

14. ქესაშვილი ნუნუ იოსების ას.—ცხინვალის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი.

15. ნემსაძე ვლასი ვარდენის ძე—წყალტუბოს რაიონის მექვენის რვაწლიანი სკოლის დირექტორი.

16. იობიძე ცისანა გალაქტიონის ას.—ბორჯომი, წაღვერის საშ. სკ. უფროსი პიონერხელმძღვანელი.

17. ხვედელიძე ლიზა ზაქარიას ას.—ბორჯომის პიონერთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექციის ხელმძღვანელი.

18. ალდემოვი მუხმად ახახის ძე—ახმეტის სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

19. ბენდელიანი აპოლონ დომენტის ძე—სოხუმის ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი.

20. აზიკური ეთერი შიოს ას.—ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

21. აბაშიძე იორდანე ლუარსაბის ძე—ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

22. გვარამიშვილი მაყვალა იოსების ას.—გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

23. ნორაკიძე ლუბა გიორგის ას.—ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

24. ნატროშვილი თედო ალექსის ძე—„ბუნების მეგობართა“ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

25. გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე—აკადემიკოსი, სატყეო ინსტიტუტის დირექტორი.

26. კეცხოველი ნიკო ნიკოლოზის ძე—აკადემიკოსი; ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

27. მამისაშვილი კირილე ივანეს ძე—საქართველოს ნაკრძალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

28. გაბრიჩიძე ნელი მიხეილის ას.—ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქციის მუშაკი.

## § V. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:

1. კუნდუხაშვილი ნატალია იოსების ას.—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

2. სალაძე სერგო ვარდენის ძე—ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

3. შიომღვდლიშვილი ვალენტინა ბიძინას ას.—ახმეტის რაიონის პიონერთა სახლის დირექტორი.

4. ლობჟანიძე ციალა პეტრეს ას.—თბილისის 88-ე საშ. სკოლის სასწ. ნაწ. გამგე.

5. შათირიშვილი მედეა მიხეილის ას.—სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშ. სკოლის პიონერთა ხელმძღვანელი.

6. გრიგოლია მადონა ირაკლის ას.—სიღნაღის რაიონის წნორის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

7. ბაკურაძე ქეთევან ვასილის ას.—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი.

8. თორაძე ნინო აქვსენტის ას.—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი.

9. ბახტურიძე ალექსი მარტიას ძე—ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის დირექტორი

10. რუსიშვილი ლამარა ნიკოლოზის ასული—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი.

## § VI. დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:

1. ბუცხრიკიძე ელენე ივანეს ას.—თელავის რაიონის რუისის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

2. მაზიაშვილი ესმა ივანეს ას.—თბილისის 140-ე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

3. ელბაქიძე მარიამ იისონის ას.—ქარელის რაიონის ქვემო-ხვედურეთის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

4. ჯანაშვილი არჩილ გაბრიელის ძე—ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საბჭოს საპატიო წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**§ VII. ბუნების ნორჩ მეგობართა VII რესპუბლიკური შეკრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:**

1. გულისაშვილი ვასილი ზაქარიას ძე—აკადემიკოსი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე.

2. სიბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—აკადემიკოსი, საქართველოს სსრ აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების გამგე.

3. ჯიქიძე თამარ გრიგოლის ას.—პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე (კომიტეტის მდივანი).

4. ჯანაშვილი არჩილ გაბრიელის ძე—პროფესორი, ზოოლოგი. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კათედრის გამგე.

5. ყურაშვილი ბორისი ფილიმონის ძე—პროფესორი, ზოოლოგი. თბილისის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

6. ლომიძე ზურაბი აკაკის ძე—საქართველოს ალკკ ცკ-ის სასკოლო განყოფილების გამგე.

7. შენგელია გრიგოლი ნოეს ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

8. ცერცვაძე ივანე ნიკოლოზის ძე—გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.

9. ენუქიძე გალინა პარმენის ას.—დოცენტი, საქართველოს სსრ აკადემიის ზოოლოგიის ინტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი.

10. მათიკაშვილი ვლადიმერი ივანეს ძე—თბილისის სატყეო ინსტიტუტის ტყის კულტურის განყოფილების. გამგე.

11. მამისაშვილი კირილე ივანეს ძე—საქართველოს ნაკრძალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

12. ნატროშვილი თედო ალექსის ძე—ბუნების მეგობრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

13. მაზიაშვილი ესმა ივანეს ას.—140-ე საშუალო სკოლის პედაგოგი.

14. ბაკურაძე ქეთევანი ვასილის ას.—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგი.

§ VIII. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-7 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1971 წლის 3—4—5 ნოემბერს.

§ IX. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-7 რესპუბლიკური შეკრების დებულება დამტკიცდეს.

§ X. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის 1971 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ბუნების ნორჩ მეგობართა მე-7 რესპუბლიკური შეკრებისათვის საჭირო თანხა.

§ XI. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ჩააბან ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მე-7 რესპუბლიკური შეკრებისათვის მზადების საქმეში პიონერ-კომკავშირელთა და მოსწავლეთა ფართო მასები;

ბ) ჩამოაყალიბონ სკოლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ბუნების ნორჩ მეგობართა სექციები და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფართოდ გაშლა.

§ XII. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ა. ჩხიკვაძე) და საქ. ალკკ ცკ სასკოლო განყოფილებამ (ზ. ლომიძე) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულება-მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ლაშქარაშვილი**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## I. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მიზანი, ამოცანები და მუშაობის შინაარსი

ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება იქმნება სკოლებთან, სკოლა-ინტერნატებთან, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, იგი მიზნად ისახავს სათავეში ჩაუდგეს რესპუბლიკაში ბუნების ნორჩ მეგობართა საქმიანობას, მოაწყოს პიონერთა და მოსწავლეთა მასობრივი მოძრაობა ბუნების დაცვისა და მისი გამდიდრებისათვის.

მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ „ბუნების დაცვის" კვირეულში ტყეების, მწვანე ნარგავების, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლთა, სასარგებლო ფაუნისა და ფლორის დაცვასა და გამრავლებაში, ქუჩების, მოედნების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების ეზოების გამწვანებაში, პარკების გაშენება-გაფართოებაში, თევზების, სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველების მოშენებაში, ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება პიონერებსა და მოსწავლეებს უნერგავს ბუნების სიმდიდრისადმი, ჩვენი ქვეყნის ფაუნისა და ფლორისადმი სიყვარულს, მზრუნველობით დამოკიდებულებასა და მათი დაცვისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ბუნების დაცვის საგუშაგოები, ბუნების ნორჩი მეგობრების სექციები ინიციატივას იჩენენ უტყეო ფერდობების, გზატკეცილების, სასოფლო გზისპირების, ტყის, ხეხილოვანი კულტურების, მინდორსაცავი ზოლების გაშენებაში; წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების დაცვაში; სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე სუბტროპიკული კულტურების, ხეხილის ბაღებისა და ყვავილოვანი მცენარეების გაშენებასა და მოვლაში.

სკოლის სასწავლო-საცდელ, საკარმიდამო და საკოლმეურნეო-ნაკვეთების, ხეხილოვანი და ტყის კულტურების სანერგეების მოსაწყობად აგროვებენ თესლებს, ეუფლებიან საძირეების და სანამყენეების შერჩევას, მყნობის ხერხებს და მეთოდებს, ამრავლებენ მცენარეებს ვეგეტატიური წესით (კალმით, გადაწვენით, და სხვა), გადასცემენ მათ მიერ გამოყვანილ მცენარეებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

უფროსკლასელები აქტიურად მონაწილეობენ მცენარეთა დარგვისა და გახარების საქმეში.

ბუნების ნორჩი მეგობრები მონაწილეობას იღებენ ტყეების გასუფთავებაში, გამეჩხერებული ადგილების შევსებაში, ეხმარებიან უფროსებს და მონაწილეობას იღებენ ტყის ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების გაშენებაში.

ებრძვიან ნიადაგის ეროზიას, ამწვანებენ სოფლის მისასვლელ გზებს, ხრამებს, ხევებს.

მავნებლების წინააღმდეგ მექანიკური და აგროტექნიკური მეთოდებით ბრძოლის ღონისძიებების გარდა შეისწავლიან სოფლის მეურნეობის მავნე მწერთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს, რიზოფაგუსის, კრიპტოლემუსის და სხვა სასარგებლო მწერთა გამრავლების ხერხებს, ხელს უწყობენ მათ გამრავლებას ბუნებაში.

წლის ყოველ დროს აწარმოებენ ფენოლოგიურ დაკვირვებებს მცენარეებზე, მწერებზე, ფრინველებზე და ფაუნის სხვა წარმომადგენლებზე; ხელს უწყობენ სასარგებლო ფრინველების მოზიდვის და დაცვის საქმეს. ამზადებენ ხელოვნურ ბუდეებს, ფრინველთა გასამრავლებლად აკეთებენ საკვებ ბანებს და ქანდარებს. აგროვებენ ველურ მცენარეთა ნაყოფებს (კუნელი, კვრინჩხია, პანტა და სხვა). კვებავენ ზამთარში მობინადრე ფრინველებს ველურ და კულტურულ მცენარეთა თესლებით. სწავლობენ მხარისათვის დამახასიათებელ ნიადაგებს და მცენარეულ საფარს, ადგენენ ნიადაგის მონოლიტებს, მცენარეთა ჰერბარიუმებსა და მწერთა კოლექციებს.

აქტიურ მონაწილეობას იღებენ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მისაღებად თუთის ხეების გაშენებაში, სასკოლო და საკარმიდამო ნაკვეთებზე საფუტკრეების მოწყობაში, ქართული მთის ჯიშის ფუტკრის გამრავლებაში, თაფლოვანი მცენარეების გაშენება-გავრცელებაში. ეხმარებიან თევზჭერის სამმართველოებს თევ-

ზის დაცვის საქმეში. გადაჰყავთ ლიფსიტები პატარა გუბურებიდან დიდ წყალსაცავებში, ეხმარებიან საგუბურო მეურნეობებს. სასკოლო და საოჯახო პირობებში დეკორატიული და სარეწაო მნიშვნელობის თევზების მოშენებისა და მომრავლებისათვის აწყობენ აკვარიუმებსა და აუზებს.

## II. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში იქმნება ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება, რომელიც აერთიანებს ნორჩ მემცენარეთა, ნორჩ ენტომოლოგთა; ნორჩ ზოოლოგთა სექციებს. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების წევრებად მიიღებიან ბუნების დაცვით დაინტერესებული IV—X კლასის მოსწავლეები როგორც ჯგუფური, ისევე ინდივიდუალური წესით.

საზოგადოების მუშაობას წარმართავს კრების მიერ ღია კენჭისყრით არჩეული ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭო. საბჭო განისაზღვრება 7—9 კაცით. საბჭო თავის პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

რესპუბლიკაში ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს უფროს მეგობართა რესპუბლიკური საბჭო, რომელიც არსებობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტთან.

საზოგადოების წევრი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბუნების სიმდიდრეთა დაცვის ყოველგვარი ღონისძიების გატარებაში, საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია მტკიცედ განახორციელოს ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭოს ყველა მოთხოვნილება.

საზოგადოების ადგილობრივი სექციების ხელმძღვანელად აირჩევიან მოწინავე მოსწავლეები.

ბუნების ნორჩ მეგობართა ადგილობრივი სექციები კავშირს ამყარებენ ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან და უგზავნიან მათ ცნობებს სექციის შექმნისა და მისი საქმიანობის შესახებ. საზოგადოება აწარმოებს თავის მატიანეს; ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით მატიანეში შეტანილი იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწევენ მუშაობაში.

ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭო ყოველი წლის ოქტომბრამდე აჯამებს სექციების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს.

## III. ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური შეკრების ორგანიზაცია

ბუნების ნორჩ მეგობართა მუშაობის შეჯამების მიზნით, ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური შეკრება ჩატარდება ყოველ წელს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ოქტომბრის თვეში.

შეკრებაში მონაწილეობის უფლება მიეცემა იმ მოსწავლეებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებს, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს, რომლებსაც ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული ბუნების სიმდიდრეთა დაცვის საქმეში.

შეკრებაში მონაწილეობის მსურველები ადგენენ განაცხადს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტის სახელზე ყოველწლიურად, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

ბუნების ნორჩმა მეგობრებმა შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ მასალები გამოფენისათვის: მათი მუშაობის ამსახველი ფოტოფირები, ფოტოალბომები, დიაგრამები, სანერგის გეგმები, მათ მიერ დარგულ მცენარეებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე ფენოლოგიური დაკვირვების ამსახველი ფირები, სქემები, ჰერბარიუმები, მწერთა კოლექციები; დაწნულ კალათებში და გოდრებში მათ მიერ დარგული და გახარებული ხეხილის ნაყოფები — ჯიშებისა და მოსავლიანობის აღნიშვნით, მათ მიერ მოწყობილი გაზონების, სკვერების, პარკების მაკეტები, შემოწმებული სკოლის დირექტორის მიერ.

ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოება, რესპუბლიკურ შეკრებამდე აწყობს ბუნების ნორჩ მეგობართა ზონალურ შეკრებას და ბუნების ნორჩ მეგობართა აქტიური წევრები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობა-

ში, გამოძახებული იქნებიან ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ბუნების ყველაზე აქტიური ნორჩი მეგობრები დაჯილდოვდებიან საქ. სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. ჯილდოს სახით გაიცემა აგრეთვე „არტეკის“ საგზურები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოფენებზე ბავშვთა ნამუშევრების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის შედეგებს, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნებისმიერი ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 27 სექტემბრის ბრძანება № 541

### მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის 1972 წლის მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ

მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებისა საქართველოს სსრ მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის 1972 წლის XII საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1972 წელს ქ. თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჩატარდეს საქართველოს მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები XII საკავშირო სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებულ სპორტის 13 სახეში, ხოლო რესპუბლიკური სპარტაკიადის პარალელურად სპორტის დანარჩენ სახეებში (კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა სამბო, წყალბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი, წყალში ხტომა და სხვა) ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მოსწავლეთა XXIV სპარტაკიადის ფინალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს წინ უნდა უძღოდეს შინასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო და ზონალური სპარტაკიადები და შეჯიბრებები.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილი):

ა) განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტსა და ბავშვთა მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლასთან ერთად ა/წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულება სსრ კავშირის XII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეებში, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადების გეგმა-გრაფიკი და ნაკრებ გუნდებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი პირების, გუნდის უფროსებისა და მწვრთნელთა შემადგენლობის სიები:

ბ) მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების მიზნით ერთი თვის ვადაში შეადგინოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად რესპუბლიკური შეჯიბრებების, საკონტროლო ტურნირების, სამატჩო შეხვედრების, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ღონისძიებათა კალენდარი და ნაკრები გუნდების 1972 წლის სპარტაკიადის წინა შეკრების დისლოკაცია.

დააზუსტოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა შემადგენლობა სპორტის 13 სახეში და უზრუნველყოს მათთან სასპორტო სკოლების ბაზაზე სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სისტემატური ჩატარება;

გ) განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლასთან ერთად ნაკრები გუნდების კანდიდატთა ერთობლივი წვრთნისათვის ქ. თბილისში მოსწავლეთა გადმოყვანის მიზნით ა/წლის 30 სექტემბრამდე დააზუსტოს და წარმოადგინოს ნაკრებ გუნდებში რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან შემავალ კანდიდატთა სიები;

დ) განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად ა/წლის 25 სექტემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან გადმოსაყვან ნაკრები გუნდების კანდიდატებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების (კვების,

ბინის, გზის, მწვრთნელთა ხელფასის, ქალაქის ტრანსპორტის, სპორტული ბაზების იჯარის, სამეცადინო სპორტული ფორმისა და სხვა) ხარჯთაღრიცხვა.

3. ნაკრებ გუნდებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათ მომზადებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, ბავშვთა-მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლასთან ერთად 1972 წლის 1 იანვრამდე გაპიროვნდეს ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებზე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის სახეები. ბავშვთა სასპორტო სკოლებზე სპორტის სახეების განაწილება დამტკიცდეს (თან ერთვის).

4. სასპორტო სკოლების დირექტორებმა:

ქ. თბილისის განათლების განყოფილების კომპლექსური (ს. ბახტაძე), ცენტრალური ტანვარჯიშული (მ. იმნაძე), ცურვის (ქ. ბასილია), სპორტული თამაშობების სპეციალიზებული (გ. იმნაძე), მძლეოსნობის სპეციალიზებული (მ. ტუღუში), საჭადრაკო (ა. წერეთელი), ფეხბურთის სპეციალიზებული (შ. მერკვილაძე), ქ. ქუთაისის კომპლექსური (ე. თვალთვაძე), გაგრის რაიონის (ზ. ლაკობა), ქ. ბათუმის კომპლექსური და მძლეოსნობის (ზ. კვაჭაძე და შ. ჯავახაძე), ქ. სოხუმის კომპლექსური და სპორტული თამაშობების (თ. მესხი და ნ. მამაცევი) რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა მოსამზადებლად ა/წლის 25 სექტემბრიდან ყოველი გუნდისათვის გამოყონ ცალკე დრო კვირაში 5—6 მეცადინეობის ჩასატარებლად 4—5 საათის ხანგრძლივობით და უზრუნველყონ ისინი სათანადო სპორტული ბაზებით, საჭირო ინვენტარითა და სავარჯიშო სპორტული ფორმით.

ა/წლის 1 ოქტომბრამდე წარუდგინონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას მათზე გაპიროვნებულ სპორტის სახეებში ნაკრები გუნდების მეცადინეობის ცხრილი, სპარტაკიადისათვის მომზადების გეგმა-გრაფიკი და მოსწავლეთა და მწვრთნელთა სიები დასამტკიცებლად.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეების ნაკრებ გუნდებში გაერთიანებულ მოსწავლეთა ნაწილი ვარჯიშობს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და სხვა სპორტულ ორგანიზაციებში, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მათი გამოყოფა ამ ორგანიზაციებიდან და ა/წლის 30 სექტემბრიდან განათლების სამინი-

სტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლისათვის აღნიშნული ნაკრები გუნდების დაქვემდებარება, რომელმაც უზრუნველყოს მათთან სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის სისტემატური ჩატარება და გუნდების სათანადო მომზადება.

6. განათლების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურმა სკოლამ (ამხ. რ. შავლიაძე):

ა) ნაკრები გუნდების სამეცადინოდ დაქირავებულ სპორტულ ბაზებს გადაუხადოს იჯარის ხარჯები სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ცენტრალიზებული თანხებიდან.

ბ) სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის ცამეტივე სახეობაში ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარება, მათი სამატჩო შეხვედრებსა და ტურნირებზე გამგზავრება, ან სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების თბილისში მიღება, აწარმოოს სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ცენტრალიზებული თანხების ხარჯზე.

გ) რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მყოფი ნაკრები გუნდების კანდიდატების მწვრთნელთათვის, მოსწავლეთა მომზადებაში დახმარებისა და სათანადო კონტროლის გაწევის მიზნით პერიოდულად მიავლინოს ადგილებზე საუკეთესო მწვრთნელები, აკომპანიატორები, ქორეოგრაფები, ნაკრები გუნდების უფროსები და სხვა.

დ) ქ. თბილისში გადმოყვანილ ქ. რუსთავიდან ან სხვა ქალაქიდან (მცხეთა, გარდაბანი და სხვა) მოსიარულე ნაკრები გუნდების კანდიდატთა სამეცადინო ადგილებზე დროულად გამოცხადების მიზნით, უზრუნველყოს ისინი ავტოტრანსპორტის მუდმივი ბილეთებით.

ერთობლივი წვრთნისათვის რაიონებიდან და ქალაქებიდან თბილისში გადმოყვანილი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატები უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატებში დამატებით, ხოლო კერძო ბინებში-მაცხოვრებლები კვებით რესპუბლიკური შეკრებისათვის დადგენილი ნორმების ფარგლებში.

ე) ქ. თბილისის სკოლა-ინტერნატებსა და № 2 გახანგრძლივებულ დღის სკოლაში გადმოყვანილი ნაკრები გუნდების კანდი-

დატების მომსახურეობის მიზნით მიამაგროს აღნიშნულ სკოლებს საჭირო რაოდენობის აღმზრდელები და მომსახურე პერსონალი.

ნაკრები გუნდების კანდიდატები უზრუნველყოს სავარჯიშო და საშეჯიბრო სპორტული ფორმითა და ინვენტარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის 1972 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ნაკრები გუნდების მომზადებისა და საკავშირო სპარტაკიადში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების გადიდება;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებისათვის ფიზიკურ კულტურაში მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების დასამზადებლად ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტს მიმდინარე წლის მე-IV კვარტალში გაუდიდოს უხალხო ხელფასის ფონდი 5000 მანეთით, მისივე ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, შესაბამის ფიზიკური კულტურისა და სპორტის და ალკკ კომიტეტებთან ერთად, მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების, სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, 1972 წლის მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების სათანადო კონტიგენტით დაკომპლექტებისა და მათი უკეთ მომზადების მიზნით:

ა) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეების (მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, ველოსპორტი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი) კულტივირებასა და მათ სასწავლო მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩატარებას; გადამჭრელი ზომები მიიღონ რაიონის ქალაქის და

ოლქის ნაკრები გუნდების მაღალ ხარისხოვნად მომზადებისათვის, დროულად ჩაატარონ შინასასკოლო, სარაიონო, საქალაქო. საოლქო, მასობრივი შეჯიბრებები და სპარტაკიადები. აღნიშნულ შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებში უზრუნველყონ სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობის ჩაბმა;

გ) იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატებს ხშირად მოუხდებათ სხვადასხვა ქალაქებში შეჯიბრებებზე, სასწავლო საწრთვნელ შეკრებებზე გამგზავრება და ყოველდღიურად დღეში ორჯერ სპორტულ მეცადინეობებზე დასწრება, როგორც გამონაკლისი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატები პერსონალური სიით გადაიყვანონ სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე: ხოლო სწავლაში ჩამორჩენის თავიდან აცილების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მიამაგრონ მათ მასწავლებლები და ჩაუტარონ დამატებითი მეცადინეობები.

დ) გუნდების უკეთ მომზადების ნიზნით საჭიროების შემთხვევაში ნაკრები გუნდების მწვრთნელები 1971 წლის ნოემბრიდან სპარტაკიადისათვის მომზადების და მისი ჩატარების პერიოდში გაათავისუფლონ სამუშაოდან საშუალო ხელფასის შენახვით;

ე) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები, სპორტული-დარბაზები შეავსონ საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ საკუთარი ძალებით მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა და მიაღწიონ იმას, რომ 1972 წლის სპარტაკიადისათვის თითოეულ სკოლას ჰქონდეს თავისი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა, ხელი შეუწყონ სასკოლო სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით მარტივი ტიპის სპორტული ინვენტარის დამზადებას;

ვ) ორგანიზაცია გაუკეთონ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდას. ამ მიზნით გამოიყენონ რადიო, ტელევიზია, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები. ხშირად ჩაატარონ ფიზკულტურულ თემებზე ლექცია-მოხსენებები, სპორტული კინოფილმების ჩვენება და სხვა).

ზ) ორგანიზაცია გაუკეთონ ბავშვთა სასპორტო სკოლებში უფროსი კლასების მოსწავლე-სპორტსმენთაგან მსაჯების მომზადებას და გამოიყენონ ისინი შინასასკოლო სარაიონო, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებების ჩასატარებლად;

თ) ნაკრები გუნდების მომზადებაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი პარტიული კომკავშირული,

პროფკავშირული, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, ფიზკულტურის კომიტეტებისა და სხვა მუშაკების შემადგენლობით შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების იმ კანდიდატებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნებიან გადაყვანილი ქ. თბილისში სასწავლებლად, მიამაგრონ საუკეთესო მწვრთნელები, გამოუყონ სამეცადინო ადგილები, უზრუნველყონ სავარჯიშო სპორტული ტანსაცმლით, სპორტული ინვენტარით და შეუქმნან მათ ყველა პირობა ყოველდღიური ვარჯიშისა და სწავლისათვის

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) ნაკრები გუნდების კანდიდატთა მთელი წლის მანძილზე ერთობლივი წვრთნის ჩატარების მიზნით, მიმდინარე წლის სექტემბერში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სკოლებიდან გადმოიყვანოს სასწავლებლად ქ. თბილისში ნაკრები გუნდების კანდიდატები და უზრუნველყოს მათი სათანადო სკოლებში ჩარიცხვა.

10. განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან ქ. თბილისში გადმოსაყვანი ნაკრები გუნდების კანდიდატების საცხოვრებლად სკოლა-ინტერნატებში გამოყოს საჭირო რაოდენობის ადგილები, ხოლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა უზრუნველყონ აღნიშნული მოსწავლეები კვებით.

11. განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორამ (ამხ. თ. ქიქოძე) ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ჭიათურის, რუსთავის, ტყიბულის და თელავის, გორის, გარდაბნის, ქარელის, თეთრიწყაროს, ახმეტის, სამტრედიის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, მახარაძის, ზუგდიდის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, გუდაუთის, გაგრის რაიონების განათლების განყოფილებებთან პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმებით 1972 წელში მოამზადოს ბავშვთა მოზარდთა სპორტული სკოლებისათვის ორ-სამ დარბაზიანი კორპუსების მშენებლობის პროექტები.

12. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამ. თ. ეგაძე):

ა) 1972 წლის იანვრიდან ქ. თბილისის განათლების განყოფილებასთან მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობაში ბავშვთა მოზარდთა სპეციალიზებული სასპორტო სკოლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ა/წლის 25 სექტემბრამდე წარუდგინოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს აღნიშნული სასპორტო სკოლების ხარჯთაღრიცხვები 1972 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად;

ბ) ქ. თბილისის კალინინის, ოქტომბრისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებთან ერთად კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშში ნაკრები გუნდების სავარჯიშოდ ა/წლის 1 ოქტომბრიდან უზრუნველყოს აღნიშნული რაიონების სასპორტო სკოლების დარბაზებში ყოველდღიურად 5—6 საათის სამეცადინო დროს გამოყოფა, ხოლო ამ სასპორტო სკოლების ჯგუფების მეცადინეობა აწარმოონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტულ ბაზებზე;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, სროლაში, სპორტულ თამაშებსა (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი) და ფარიკაობაში ნაკრები გუნდების მაღალ სპორტულ დონეზე მომზადებას.

პერიოდულად შეამოწმოს და განიხილოს საბჭოს სხდომაზე აღნიშნული გუნდების მზადების მიმდინარეობა.

14. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. შ. დევდარიანი) მხატვრულ ტანვარჯიშსა და ტყვიის სროლაში რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მოსამზადებლად ა/წლის 30 სექტემბრიდან უზრუნველყოს სპორტულ დარბაზსა და სასროლო ტირში ყოველდღიურად 3—4 საათის სამეცადინო დროს გამოყოფა.

15. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა (ამხ. ამხ. ა. ჯონუა და ვ. წულუკიძე), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქუთაისისა და დმანისის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. გ. ძაგოევი, ი. გენძეხაძე, ა. მანსუროვი) 1972 წლიდან ქ. სოხუმში ბავშვთა-მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული, ქ. ქუთაისში ცურვის სპეციალიზებული, ხულოში, ჯავასა და დმანისის რაიონებში კომპლექსური სასპორტო სკოლების გახსნისათვის ა/წლის 30 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველოსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებას 1972 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვები.

16. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე):

1971 წელში დაამზადოს და გადასცეს გამომცემლობა „განათლებას" 1972 წელში გამოსაცემად სკოლებისა და სპორტული სკოლებისათვის საჭირო ლიტერატურა 100 ფორმის ოდენობით.

17. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს (ამხ. ვ. ბოჭორიშვილი).

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატების სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 1972 წლის XII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 13 სახეში რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მიამაგროს ექიმები.

18. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს (ამხ. გ. სიხარულიძე):

სსრ კავშირის XII სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამეცადინოდ გამოყოს სათანადო სპორტული ბაზები, ხოლო მონაწილეთა სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით დაავალოს სათანადო ორგანიზაციებს დაამზადონ სპორტული ფორმა განათლების სამინისტროს შეკვეთით და გამოყონ საჭირო ინვენტარი.

19. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის გაწევა დაეკისროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 30 სექტემბრის ბრძანება № 554

### მშობლიურ ლიტერატურაში მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეხუთე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1970/71 სასწავლო წელს მშობლიური ლიტერატურის მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადა ორგანიზებულად ჩატარდა. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII—X კლასების 1500 მოსწავლემ, აქედან გაიმარჯვა 559 მა.

ოლიმპიადაში წარმატებას მიაღწიეს თბილისის 1 ლი, 55-ე, მე-60, 126 ე, 123-ე, ქუთაისის მე-18, მე 4, 21-ე, ცხინვალის 1-ლი, აბაშის პირველი მაისის სახელობის, დუშეთის 1-ლი რუსთავის მე 10, ქ. ზუგდიდის მე 2, ლენინგორის, ქ გორის მე 9 და სხვა ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. წინა წლებთან შედარებით მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგი მომზადება გამოამჟღავნეს.

ამასთან ერთად, მეოთხე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მშობლიური ლიტერატურის სწავლებაში გამომჟღავნდა სერიოზული ნაკლოვანებანი. მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები თემას არ პასუხობს, მოსწავლეებმა სუსტად იციან ლიტერატურული ტექსტი, უშვებენ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილისტიკურ, ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომებს. ზუგდიდის რაიონის ორსანტიის და მაიაკოვსკის მე 2 საშუალო სკოლების X, ხობის რაიონის ახალი სოფლის და ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის IX, ზესტაფონის II საშუალო სკოლის VIII კლასების მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასდა ნიშნით—„2“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნენ პირველი ხარისხის სიგელით:

VIII კლასის მოსწავლეები— 7;
IX „ „ —17;
X „ „ —41.

II. მეორე ხარისხის სიგელით:

VIII კლასის მოსწავლეები—107;
IX „ „ —199;
X „ „ —199;

III. მშობლიური ლიტერატურის მეხუთე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ა. ჩიქავაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე).

2. ი. წოწონავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

3. ე. ქურციკიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

4. ს. ღვალი—საქართველოს სსრ გან. სამინისტროს სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

5. ს. შახსუვარიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

6. ი. პეტრენკო—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

7. ვ. გასპარაშვილი—საქართველოს სსრ გან. სამინისტროს მეთოდისტი

8. ო. ლოლაბერიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ს/ს ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის სექტორის გამგე

9. ა. მჭედლიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

10. ა. კვასხაძე—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი

11. მ. დოჭვირი—თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მშობლიური ლიტ. მასწავლებელი

12. ფ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

13. ი. ბურშტეინი—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი.

IV. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

V. ზონალური ტური ჩატარდეს 1972 წლის 12 მარტს, ხოლო რესპუბლიკური 23 აპრილს.

VI. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონებსა და ქალაქებს.

VII. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

დროულად გააცნონ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნას საორგანიზაციო კომიტეტები.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 1972 წელს გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის 500 კგ საწერი ქაღალდი.

X. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს კოლეგიის
1971 წლის 24 სექტემბრის დადგენი-
ლებით.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (IX—XI) კლასების ყველა მოსწავლეს;

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

ბ) ზონალური კომიტეტები, ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებსა და რაიონის განათლების განყოფილებებთან; ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური. ორივე ტური დასწრებულია, პირველი—ზონალური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 25 ზონად:

1. ქ. თბილისი—თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. ქ. რუსთავის—ქ. რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

4. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის,

5. ქ. ცხინვალი—ს/ო ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

9. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

13. ქ. ჭიათურა—ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

14. ქ. გორი - ქ. გორის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. კასპი—კასპისა და მცხეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

17. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. ბოლნისი—ბოლნისის და დმანისის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თეთრიწყარო—თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ქ. მახარაძე მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ქ. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეთათვის;

26. პირველი—ზონალური ტური შედგება 1972 წლის 12 მარტს, მეორე რესპუბლიკური—23 აპრილს; ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ თვით სკოლები იმ მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურის ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის თემებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 6 ასტრონომიული საათი.

10. ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს უგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტს.

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4“ ან „5“).

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

**ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 6. ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი დადგენილება

**1971 წლის 8 ოქტომბერი**

**მოსწავლეთა 26-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და 27-ე რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ**

26-ე რესპუბლიკურმა სასწავლო-შემოქმედებითმა კონფერენციამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლის მიეძღვნა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის გაფართოებას, მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას, გამომგონებლობისა და კვლევითი ხასიათის ექსპერიმენტების ჩატარებისადმი ინტერესის გაძლიერებას, განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულთა გამოკლინებას.

კონფერენციაში მონაწილეობდა 19 ათასზე მეტი მოსწავლე. შემაჯამებელ სხდომებზე გამოგზავნილ და განხილულ იქნა 6000 შრომა, აქედან ფიზიკის, რადიოტექნიკის, მათემატიკის, ასტრონომიის საკითხებზე—1440, ქიმია-ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის—1030, ისტორია-მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიის—808, ლიტერატურის—1070, უცხოური ენების, მხატვრული და ინტერნაციონალური აღზრდის—520, კომკავშირულ და პიონერულ საკითხებზე—482 შრომა და ა. შ.

კონფერენციაზე წარმოდგენილ საინტერესო თემებს თან ახლდა გონივრულად შესრულებული თვითნაკეთი ხელსაწყოები,

თემატური ფარები, რუკები, სხვადასხვა აპარატის კონსტრუქციები, ფოტოალბომები, კოლექციები და სხვ.

ნორჩმა შემოქმედებმა და ტექნიკოსებმა წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ლიტერატურის, ისტორია მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცოდნის დარგში, წარმოადგინეს პიონერული და კომკავშირული საქმიანობის ამსახველი საყურადღებო მასალები.

ბევრი ნაშრომი მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი იდეების განხორციელების მნიშვნელოვან მოვლენათა აღწერას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს, ქართველი ხალხის კულტურული და ეკონომიური დონის ამაღლებას, მიღწევებს მეცნიერებასა და ტექნიკაში და ა. შ.

მომზადებულად ჩატარდა კონფერენციის შემაჯამებელი სექციური სხდომები პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

სექციური სხდომების დროს მოეწყო მოსწავლეთა შინაარსიანი და მრავალფეროვანი გამოფენები.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სასახლის აღზრდილებმა, წარმოების მოწინავეებმა, კომკავშირისა და განათლების ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და სხვ.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს და საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს: თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, რუსთავის, ფოთის, თელავის, მახარაძის, საჩხერის, დუშეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს ახალციხის, სამტრედიის, ზუგდიდის, წყალტუბოს, თიანეთის, ცაგერის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ონისა და სხვა რაიონების სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში შეინიშნებოდა სერიოზული ნაკლოვანებებიც. წარმოდგენილი ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა კონფერენციის მოთხოვნილებას, ზოგი მათგანი მდარედ და უხარისხოდ იყო შესრულებული.

კონფერენციაზე შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი ნამუშევრები მხატვრული აღზრდის, პიონერული და კომკავშირული მუშაობის თემებზე.

კონფერენციაში მონაწილეობას ჯეროვანი ყურადღებით არ მოეკიდნენ ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენტეხის, ოჩამჩირის, ყაზბეგის, შუახევის, ლანჩხუთის, წალკის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები, კომკავშირის რაიონული კომიტეტები და პიონერული სახლები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენენ:

1. მოსწავლეთა 26-ე სასწავლო შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ:

ა) 1-ლი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდეს 654 მოსწავლე.

ბ) მე-2 ხარისხის დიპლომით 803 მოსწავლე;

გ) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით —77 მოსწავლე.

დ) სიგელით დაჯილდოებულ იქნეს საგნობრივი წრეები, ცალკეული კოლექტივები და სკოლისგარეშე დაწესებულებები:

1. გარდაბნის რაიონის წავკისის საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
2. ბათუმის 21-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
3. ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
4. ორჯონიკიძის რაიონის ზვარეს საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
5. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
6. თბილისის 133-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის წრე
7. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები.
8. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლის ინგლისური ენის წრე
9. თბილისის მე-8 საშუალო სკოლის ინგლისური ენის წრე
10. ახმეტის რაიონის ქისტაურის საშ. სკოლის ფრანგული ენის წრე
11. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ესპერანტოს შემსწავლელი წრე

12. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ფრანგული ენის წრე

13. თბილისის 38-ე საშუალო სკოლის ფრანგული ენის წრე

14. ზესტაფონის მე-4 საშ. სკოლის ფრანგული ენის წრე

15. თბილისის 36 ე საშ. სკოლის ფრანგული ენის წრე

16 მახარაძის რაიონის გურიანთის საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

17. თბილისის 127-ე საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე.

18. ქარელის რაიონის ქვემო ხვედურეთის 8 წლიანი სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე.

19. წყალტუბოს რაიონის მექვენის 8 წლიანი სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

20. თბილისის მე-7 საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

21. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

22. თბილისის 140-ე საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

23. ახალციხის რაიონის ვალეს საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

24. ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

25. წულუკიძის სკოლა-ინტერნატის ნორჩ ნატურალისტთა წრე

26 სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მეყვავილეთა წრე

27. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის ნორჩ მეყვავილეთა წრე

28. თბილისის მე-3 საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

29. ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

30. გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

31. გორის რაიონის ატენის სკოლა ინტერნატის ნორჩ ნატურალისტთა წრე

32. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის VII—VIII კლასელთა მათემატიკის წრე

33. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის IX კლასელთა მათემატიკის წრე

34. ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საშ. სკოლის მათემატიკის წრე

35. მცხეთის რაიონის საგურამოს საშ. სკოლის მათემატიკის წრე

36. თბილისის 31-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები

37. ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის III—IV კლასელთა წრე

38. თბილისის მე-6 საშ. სკოლის მათემატიკის წრე

39. თბილისის მე-15 საშ, სკოლის ფიზიკის წრე

40. თბილისის 57-ე საშ. სკოლის ფიზიკის წრე

41. თბილისის 120-ე საშ. სკოლის ფიზიკის წრე

42. ფოთის მე-3 საშ. სკოლის ფიზიკის წრე

43. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლის ფიზიკის წრე

44. გორის მე-8 საშუალო სკოლის ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის წრე

45. გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშ. სკოლის ნორჩ შემოქმედთა წრე

46. თელავის მე-5 საშ. სკოლის ქართული ლიტერატურის წრე

47. ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის წრე

48. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლის ქართული ლიტერატურის წრე

49. ჭიათურის რაიონის რგანის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრე

50. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ლიტერატურის წრე

51. სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის ლიტერატურის წრე

52. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ლიტერატურის წრე

53. დმანისის რაიონის განთიადის საშ. სკოლის ლიტერატურის წრე

54. ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის საშუალო სკოლის ლიტერატურის წრე

55. წულუკიძის რაიონის გუბის საშ. სკოლის ლიტერატურის წრე

56. დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრე

57. ახალციხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეთა წრე

58. ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშ. სკოლის ლიტერატურის წრე

59. ჭიათურის რაიონის რგანის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

60. ონის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის წრე

61. თბილისის 55-ე საშ. სკოლის ისტორიის წრე

62. გარდაბნის რაიონის წავკისის საშ. სკოლის ისტორიის წრე

63. დმანისის რაიონის განთიადის საშ. სკოლის ხელმარჯვეთა წრე

64. ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის საშ. სკოლის ისტორიის მუზეუმი

65. თბილისის მე 2 გახანგრძლივებული სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

66. თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

67. გორის რაიონის ყელქცეულას საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

68. გორის მესამე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

69. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის ისტორიის წრე

70. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

71. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

72. სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლის ისტორიის წრე

73. ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშ. სკოლის ისტორიის წრე

74. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

75. ცაგერის რაიონის ჩხუტელის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

76. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

77. ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

78. თიანეთის მირზა გელოვანის სახ. საშუალო სკოლის ისტორიის წრე

79. გურჯაანის რაიონის შრომის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

80. გორის მე-8 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

81. გეგეჭკორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ისტორიის წრე

82. თბილისის 96-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

83. თბილისის 38-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

84. თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მუზეუმი

85. რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის ისტორიის წრე

86. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ისტორიის წრე

87. საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

88. თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე

89. თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

90. თელავის მე-4 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

91. დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

92. ხაშურის რაიონის შრომის საშუალო სკოლის ისტორიის წრე

93. სიღნაღის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული

94. ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლის ისტორიის წრე

95. თბილისის 113-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

96. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ლენინის მუზეუმი

97. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრე

98. თიანეთის სკოლა-ინტერნატის მხარეთმცოდნეობის წრე

99. თიანეთის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კომიტეტი

100. წალენჯიხის რაიონის ჩქვალერის საშ. სკოლის ნორჩ ეთნოგრაფთა წრე

101. წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

102. მახარაძის რაიონის მელექედურის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

103. სიღნაღის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

104. ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

105. თბილისის 27-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე

106. ზუგდიდის რაიონის ანაკლიის სკოლა ინტერნატის ისტორიის წრე

107. ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრე

108. ლანჩხუთის მე 2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

109. საგარეჯოს რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე

110. დუშეთის სკოლა-ინტერნატის მხარეთმცოდნეობის წრე

111. გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის მუზეუმი

112. ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

113. გუდაუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ხმარეთმცოდნეობის წრე

114. გორის რ-ნის ატენის სკოლა-ინტერნატის მხარეთმცოდნეობის წრე

115. წყალტუბოს რაიონის ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მხარეთმცოდნეობის წრე

116. ხულოს საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

117. ხულოს რაიონის ხიხაძირის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

118. ხულოს რაიონის კოლოთის საშ. სკოლის მხარეთმცოდ-ნეობის წრე.

119. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

120. წალკის რაიონის ღუშჩასკის საშ. სკოლის მხარეთმცოდ-ნეობის წრე

121. ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშ. სკოლის ისტო-რიის წრე

122. თერჯოლის რაიონის ჩხარის სასკოლათშორისო მუ-ზეუმი

123. გეგეჭკორის რაიონის სალხინოს საშ. სკოლის ისტო-რიის წრე

124. თერჯოლის რაიონის ალისუბნის საშ. სკოლის ისტო-რიის წრე

125. ატენის სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის წრე

126. ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

127. ახალციხის 1-ლი სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის წრე

128. ახალციხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრე

129. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

130. ბორჯომის 1-ლი საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

131. ბორჯომის მე-2 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

132. ბორჯომის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთ-მცოდნეობის წრე

133. წყალტუბოს რაიონის ბროწეულის სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის წრე

134. გორის 1-ლი საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

135. გურჯაანის რაიონის ველისციხის საშ. სკოლის გეოგრა-ფიის წრე

136. გორის მე-9 საშუალო სკოლის გეოგრაფის წრე

137. დმანისის რაიონის განთიადის საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

138. თიანეთის 8-წლიანი სკოლის გეოგრაფიის წრე

139. ვარკეთილის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

140. ლაგოდეხის რაიონის ცოდნის 8 წლიანი სკოლის გეო-გრაფიის წრე

141. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

142. თელავის რაიონის კისისხევის საშუალო სკოლის გეოგრაფის წრე

143. მახარაძის მე-3 საშ. სკოლის გეოგრაფის წრე

144. სოხუმის მე-10 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

145. რუსთავის მე 3 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

146. რუსთავის მე-12 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

147. ფოთის მე-4 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

148. ცაგერის საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

149. ტყიბულის რაიონის კურსების საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

150. ქუთაისის 21-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

151. ხულოს რაიონის დიდაჭარის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

152. თბილისის მე-2 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

153. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლის გეოგრაფიის წრე

154. თბილისის მე 9 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

155. თბილისის მე-5 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

156. თბილისის მე-12 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

157. თბილისის მე-15 საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

158. თბილისის 47-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

159. თბილისის 41-ე საშ. სკოლის გეოგრათიის წრე

160. თბილისის 37-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

161. თბილისის 51-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

162. თბილისის 54-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

163. თბილისის 77-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

164. თბილისის 78-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

165. თბილისის 33-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

166. თბილისის 43-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

167. თბილისის 75-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

168. თბილისის 63-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

169. თბილისის 132-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

170. თბილისის 140-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრე

171. მცხეთის რაიონის მისაქციელის საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

172. რუსთავის მე-11 საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

173. თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მეოჯახეობის წრე

174. რუსთავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის გამოყენებითი ხელოვნების წრე

175. თბილისის 58-ე საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

176. ახალციხის რაიონის მინაძის 8-წლიანი სკოლის IV კლასის მეოჯახეობის წრე

177. თბილისის 108-ე საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

178. თბილისის 104-ე საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

179. თბილისის მე-10 საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

180. ზუგდიდის 1-ლი საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

181. თბილისის 69-ე საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

182. თბილისის 26-ე საშ. სკოლის VI კლასის მეოჯახეობის წრე

183. გარდაბნის რაიონის სართიჭალის მე-2 საშ. სკოლის ლიტ. წრე

184. წულუკიძის სკოლა-ინტერნატის მე-6 კლ. ხელგარჯილობის წრე

185. გორის რ-ის ატენის სკოლა-ინტერნატის მეოჯახეობის წრე

186. რუსთავის მე-17 საშ. სკოლის მეოჯახეობის წრე

187. მარნეულის რაიონის თამარისის საშუალო სკოლის მეოჯახეობის წრე

188. სვირის საშ. სკოლის ხელმარჯვეთა წრე

189. თბილისის 112-ე საშ. სკოლის პ/რაზმეული

190. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის გართობა-თამაშის წრე

191. თბილისის 69-ე საშუალო სკოლის გართობა-თამაშის წრე

192. თბილისის 79-ე საშუალო სკოლის გართობა-თამაშის წრე
წრე

193. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის გართობა-თამაშის წრე

194. თბილისის 25-ე საშუალო სკოლის გართობა-თამაშის წრე

195. თბილისის მე-11 საშ. სკოლის „ცისკარი“

196. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრე.

197. მცხეთის რაიონის მისაქციელის საშ. სკოლის საგნობრივ-სახალისო ხელსაწყოების დამზადების წრე,

198. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სათამაშოების პიონერული ფაბრიკა

199. გორის მე-4 საშუალო სკოლის მათემატიკის წრე

2. მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების მომზადება ჩატარებაში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისა, კონფერენციებში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:

ა) „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით;

1. გლოვა სვეტლანა ვასილის ასული — თბილისის მე-9 საშ. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

2. მიმინოშვილი ლამარა ნესტორის ასული — ბათუმის მე-22 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

3. ბაგდასაროვა ელენე ბორისის ასული — თბილისის მე-37 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

4. ცხაკაია ქსენია ეფრემის ასული — თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი

5. სულაქველიძე არჩილი კონსტანტინეს ძე — თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორი

6. სხირტლაძე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

7. ყავრიშვილი ქეთევანი ბესარიონის ასული — გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი

8. კუტიკოვა ქეთევან თეოფანეს ასული — თბილისის 39-ე საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელი

9. ბაქრაძე რომეო შალვას ძე — ცხინვალის მე-4 საშ. სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი

10. ბერძენიშვილი ნორა იოსების ასული — თბილისის მე-15 საშ. სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

11. ელიავა გივი ვლადიმერის ძე — გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი

12. როგავა კლიმენტინა გერასიმეს ასული — ზუგდიდის მე-2 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

13. მაისურაძე გიორგი ზაქარიას ძე—გურჯაანის რაიონის შრომის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

14. აბულაძე დიმიტრი მუხამედის ძე—ხულოს საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

15. ფიფია დავითი ბორისის ძე—წალენჯიხის რაიონის ჯვარის 1-ლი საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

16. ლომიძე ნაზი დანიელის ასული—თბილისის მე-7 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

17. ზედელაშვილი ქეთევან ილიას ასული—თბილისის 62-ე საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

18. გეგელია ბიქენტი მალაქის ძე—გეგეჭკორის რაიონის სალხინოს საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ბ) სიგელით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები (დანართი № 4)

3. 27-ე სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. უშანგი ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

2. ნათელა ლაღიძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

3. შოთა დევდარიანი—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

4. თეიმურაზ ეგაძე—ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე

5. ნიკოლოზ შველიძე—გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი

6. ვიოლა ჯაფარიძე—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის მოადგილე

7. ქეთევან დარსალია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასოფლო ინსპექტორი

4. 27-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს 1972 წლის მაისში

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის განათლების განყოფილებათა გამგეებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო კომიტეტების მდივნებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შექმნან ადგილებზე მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საოლქო, საქალაქო და რაიონული ხელშემწყობი კომისიები;

ბ) აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებაში ფართოდ ჩააბან სკოლები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტურისტთა სადგურები და უზრუნველყონ ზემოჩამოთვლილი დაწესებულებებისა და სკოლების საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში კონფერენციის თემატური საკითხების გათვალისწინება;

გ) მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებმა კონფერენციისათვის განკუთვნილი თეორიული საკითხების შესწავლისას პრაქტიკულად დააყენონ ცდები, დაამზადონ თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოდელები, შეადგინონ ჰერბარიუმები, შეაგროვონ კოლექციები, საჭიროების შემთხვევაში მოხსენებებს დაურთონ ნახაზები და ფოტო-დოკუმენტური მასალები.

დ) სკოლის დირექტორების, სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორების, კლასისა და უფროს პიონერხელმძღვანელთა მეთოდურ თათბირებზე განიხილონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის თემატიკა და უზრუნველყონ აღნიშნულ ღონისძიებაში პიონერთა და მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა.

ე) პერიოდულად მოსმენილ იქნეს სახალხო განათლების საბჭოებისა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე მრსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მზადების მიმდინარეობის – საკითხები და დასახულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი.

6. 27-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარსადგენი ნამუშევრები წინასწარ განიხილონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა ღია სხდომებზე, ხოლო პედაგოგიურ კაბინეტებში საბოლოოდ განხილვის შემდეგ წარუდგინონ ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

7. დაევალოს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექციას დროულად

დაუშვას კონფერენციისათვის საჭირო მასალები და მითითებანი ადგილებზე, ორგანიზებულად მოაწყოს წარმოდგენილ ნამუშევართა რეცენზირება და მისი ავტორებამდე დროულად დაყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს გაზეთების: „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის" რედაქციებს გააშუქონ მოსწავლეთა 27-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მზადების მიმდინარეობის საკითხები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. ა. ჩხიკვაძეს) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილებას (ამხ. ზ. ლომიძეს) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 6 ოქტომბრის ბრძანება № 582

### საბავშვო დრამატული ნაწარმოებების კონკურსის შედეგების შესახებ

იმის გამო, რომ სასკოლო დრამატული წრეები და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებები განიცდიან რეპერტუარის სიმცირეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ლიტერატურული და მხატვრული კითხვის განყოფილების მიერ ჩატარებული კონკურსის საბავშვო დრამატულ ნაწარმოებებზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

კონკურსზე წარმოდგენილი პიესების ნაწილი აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რეკომენდებულია დასადგმელად.

სასკოლო და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დრამატული წრეების რეპერტუარის გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ჩატარებული კონკურსის ჟიურის მიერ წარმოდგენილი წინადადებები პრემიებისა და ფულადი ჯილდოების მინიჭების შესახებ.

2. დაევალოს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციასთან ერთად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამოაცხადოს ანალოგიური ხასიათის კონკურსი.

დროულად მიიღოს ზომები მოწონებულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად და გასავრცელებლად.

3. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას გამოაქვეყნოს ანგარიში აღნიშნული კონკურსის შესახებ.

ეროვნული

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის 1971 წლის 8 ოქტომბრის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1971—1972 სასწავლო წელს ტარდება ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II საკავშირო დათვალიერება, რომლის მიზანია ქიმიაში მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება და ექსპერიმენტულ ჩვევათა განვითარება, პროფორიენტაციული მუშაობის გაძლიერება, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ახალი წრეების და კლუბების ორგანიზაცია, არსებული ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების გამოცდილებათა სისტემატური შესწავლა და განზოგადება მათი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით, ნორჩ ქიმიკოსებში შემოქმედებითი ძიებისადმი ინტერესის გაღვივება, მათი ჩაბმა ქიმიური ცოდნის პროპაგანდასა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნორჩ ქიმიკოსებთან სამუშაოდ კვლევითი ინსტიტუტებისა და ქიმიურ საწარმოთა მეცნიერ მუშაკთა, ინჟინერთა, მასწავლებელთა, ასპირანტთა, სტუდენტთა მიზიდვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობა ადგენენ:

1. ჩატარდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ნორჩ ქიმიკოსთა

კოლექტივების II რესპუბლიკური დათვალიერება 1971 წლის 8 ოქტომბრიდან 1972 წლის 1 აპრილამდე.

2. დამტკიცდეს ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II რესპუბლიკური დათვალიერების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ადამია სერგო ვარლამის ძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ასისტენტი.

ბაჩილავა მედეა ივანეს ასული—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორი.

გიგაური მზალო სიმონის ასული—ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე

დანელია მედეია კაპიტონის ასული—დ. ი. მენდელეევის სახ. საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის წევრი

კაპანაძე შოთა გრიგოლის ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის მეთოდური კაბინეტის გამგე

ჭანტურია ვახტანგი გიორგის ძე—საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის რეფერენტი

ლომსიანიძე ზაქარია აგაბოს ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ტუსკია ქეთევანი ირაკლის ასული—თბილისის № 42 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი (მდივანი).

ცაგარეიშვილი შალვა მიხეილის ძე—ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი-პოლიტექნიკური სწავლების მეთოდკაბინეტის გამგე (თავმჯდომარე).

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დაუყოვნებლივ შექმნან ადგილებზე დათვალიერების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

4. ადგილებზე შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტებმა:

ა) გაშალონ მუშაობა ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II რესპუბლიკური დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყონ ნორჩი ქიმიკოსების მასობრივი და აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში;

ბ) ანგარიშები დათვალიერების შედეგებზე წარმოადგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში (ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 8, მთავრობის სახლი, განათლების სამინისტრო) 1972 წლის 10 აპრილამდე.

5. გაზეთებმა „სახალხო განათლებამ", „ახალგაზრდა კომუნისტმა", „მოლოდიოჟ გრუზიიმ" თავიანთ ფურცლებზე ფართო პროპაგანდა გაუწიონ დათვალიერების მიმდინარეობას, გამოაქვეყნონ წერილები მოწინავე კოლექტივების მუშაობისა და მათი გამოცდილების შესახებ.

6. დათვალიერების ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეამოწმოს ადგილებზე მუშაობის მიმდინარეობა, დათვალიერების დამთავრების შემდეგ შეაჯამოს ჩატარებული მუშაობა და შედეგები წარუდგინოს ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს 1972 წლის 25 აპრილისა.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი** | საქართველოს ალკკ ცკ მდივანი **ჯ. პატიაშვილი** |
| დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე **ნ. ფირცხალავა** | საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მ. ჭახრაკია** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II საკავშირო დათვალიერების დებულება

**1971—1972 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II საკავშირო დათვალიერებას ატარებენ დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების ცენტრალური გამგეობა, საკავშირო საზოგადოება „ცოდნას" გამგეობა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან ერთად**

## დათვალიერების ამოცანები

ა) ქიმიაში მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება მათი მეცნიერულ-ქიმიური თვალთახედვისა და ექსპერიმენტულ ჩვევათა გაფართოების მიმართულებით;

ბ) მუშაობის გაძლიერება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით;

გ) მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმა ქიმიის ნორჩ მოყვარულთა წრეებსა, კლუბებსა და საზოგადოებებში;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში (ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში); აგრეთვე კლუბებთან, კულტურის სასახლეებსა და სახლებთან, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ქიმიურ საწარმოებში ახალი წრეების, კლუბებისა და საზოგადოებების ორგანიზაცია;

ე) ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების მუშაობის დონის ამაღლება, მათი საუკეთესო გამოცდილებათა შესწავლა და გავრცელება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ) ნორჩ ქიმიკოსებში შემოქმედებითი ძიებისადმი ინტერესის გაღვივება;

ზ) ნორჩი ქიმიკოსების ჩაბმა ქიმიური ცოდნის პროპაგანდასა და რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

თ) კვლევითი ინსტიტუტებისა და ქიმიურ საწარმოთა სამეცნიერო და საინჟინრო მუშაკთა, მასწავლებელთა, ასპირანტთა და სტუდენტთა ჩაბმა ნორჩ ქიმიკოსებთან მუშაობაში;

ი) ქიმიაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გამოცდილებათა განზოგადება და გავრცელება.

## დათვალიერების მონაწილენი

დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობენ:

ა) „ნორჩ ქიმიკოსთა“ რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონო და საქალაქო სექციები;

ბ) „ნორჩ ქიმიკოსთა“ სექციების პირველადი ორგანიზაციები: ქიმიური, აგროქიმიური წრეები, მოსწავლეთა ქიმიური საზოგადოებები და კლუბები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკოლებსა და სკოლისგარე დაწესებულებებთან, ნორჩ ქიმიკოსთა საღამოსა და კვირის სკოლები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ქიმიური და აგროქიმიური ლაბორატორიები;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ნორჩ ქიმიკოსთა წრეები და სხვა კოლექტივები, რომელნიც დათვალიერების ჩატარების დროისათვის არ წარმოადგენენ დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების „ნორჩი ქიმიკოსის“ პირველად სექციებს.

## დათვალიერების ხელმძღვანელობა

საკავშირო დათვალიერების ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობას ასრულებს დათვალიერების დამფუძნებელი ცენტრალური კომიტეტი.

ადგილებზე დათვალიერებას ატარებენ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში ჩამოყალიბებული საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში შედიან დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების და საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობათა, მოკავშირე და

ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და კომკავშირის კომიტეტების წარმომადგენლები.

## შედეგების შეჯამება

რაიონებსა და ქალაქებში შედეგები შეჯამდება 1972 წლის მარტში, ხოლო ოლქებსა და რესპუბლიკებში—აპრილში.

ანგარიშებს დათვალიერების შედეგების შესახებ რესპუბლიკური და საოლქო საორგანიზაციო კომიტეტები წარუდგენენ ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტს 1972 წლის 25 აპრილისათვის. დათვალიერების ძირითადი მაჩვენებლებია:

ა) „ნორჩ ქიმიკოსთა“ რესპუბლიკური და საოლქო სექციებისათვის:

— მომუშავე და ახლადორგანიზებული ქიმიური წრეების, მოსწავლეთა ქიმიური საზოგადოებების, ნორჩ ქიმიკოსთა სკოლების, აგროქიმიური ლაბორატორიების და სხვ. რაოდენობა და მათში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა;

— ლექტორიუმების ორგანიზაცია ქიმიაში;

— ყოველწლიური დათვალიერებები და კონკურსები;

— კონფერენციების ჩატარება;

— შეკრებების ორგანიზაცია;

— შეკრებები პროფესიების მიხედვით;

— დასწრებული და დაუსწრებელი ოლიმპიადები;

— ქიმიაში საქალაქო დღეების (კვირეული, თვიური) ორგანიზაცია;

— სექციის წევრთა ნაშრომების გამოფენის ორგანიზაცია;

— მეთოდური მუშაობა.

ბ) „ნორჩი ქიმიკოსის“ სექციების პირველადი ორგანიზაციებისათვის. ქიმიის ნორჩ მოყვარულთა წრეებისა და სხვა კოლექტივებისათვის:

— მასობრიობა;

— წრეების ექსპერიმენტული მუშაობის დონე;

— საზოგადოებრივ-სასარგებლო მიმართულება (სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების დავალებით საკვლევი სამუშაოების ჩატარება; სკოლებისა და სკოლის-

გარეშე დაწესებულებათა ქიმიური ლაბორატორიებისა და კაბინეტების მატერიალური ბაზის გაფართოების მიზნით ახალი ქიმიური ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო თვალსაჩინოებათა კონსტრუირება ან არსებულის სრულყოფა; მოსახლეობისა და უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა შორის ქიმიური ცოდნის პროპაგანდა;

— სამეცნიერო და მკითხველთა კონფერენციების, საღამოების, ქიმიური დღესასწაულების ორგანიზაცია.

— ქიმიურ ოლიმპიადებში მონაწილეობა;

— გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა, ქიმიური კუთხეების, გამოფენების და მუზეუმების მოწყობა.

საკავშირო დათვალიერების შედეგების შეჯამება ტარდება ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ნორჩ ქიმიკოსთა საკავშირო შეკრებაზე, რომელიც შედგება 1972 წლის ზაფხულში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სრულიად რუსეთის პიონერულ ბანაკ „ორლიონოკში".

ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივები, რომელთაც საკავშირო დათვალიერებაზე საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს, იღებენ დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების დიპლომებს.

დათვალიერებაში გამარჯვებული კოლექტივების ხელმძღვანელები, აგრეთვე დათვალიერების სამუშაოების საუკეთესო ორგანიზატორები ჯილდოვდებიან დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების ცენტრალური გამგეობის, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის, სსრკ განათლების სამინისტროსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით.

ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების, აგრეთვე მათი ცალკეული წევრების მიერ შესრულებული საუკეთესო ნამუშევრები შერჩეული იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „ნორჩ ნატურალისტთა და ტექნიკოსთა" პავილიონში ექსპონირებისათვის. გამარჯვებულები დამტკიცებული იქნებიან სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეებად და ჯილდოვდებიან მედლებით „სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილე".

დათვალიერებათა და შეკრებათა ჩატარების ხარჯებს იღებს: დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოება, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო.

დათვალიერების მსვლელობა და მისი შედეგები გაშუქდება ჟურნალებში:

„Химия и жизнь“, „Химия в школе“, „Наука и жизнь“ „Юный техник“ და გაზეთებში „Комсомольская правда“, „Учительская газета“, აგრეთვე რესპუბლიკურ და საოლქო კომკავშირულ და პედაგოგიურ გაზეთებსა და ჟურნალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მოხელეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1971 წლის 8 ოქტომბრის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების შესაქმნელად, რომელიც პასუხობს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ქრონიკისა და სამრეწველო სანიტარიის ყველა მოეხოვება საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. ყოველი წლის 15 აპრილიდან 15 მაისამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდეს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერება (იხ. დანართი № 1).

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საზოგადოებრივი და ინჟინრების საერთო ხელმძღვანელობისათვის შექმნას დათვალიერების ჩამტარებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჩიკვაძე ა. ე.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (კომისიის თავმჯდომარე).

თვა[illegible]რი ლ. ვ.—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

გიორგაძე დ. ი.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსის მოადგილე (კომისიის წევრი).

აბდუშელიშვილი გ. კ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).

ქაჯაია ლ.—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარი ტექნიკური ინსპექტორი (კომისიის წევრი).

თოფურია ჯ. ლ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი (კომისიის წევრი).

3. დაევალოს კომისიას განათლების სამინისტროში შემოსული მასალები შრომის დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ დაამუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს 30 მაისისა.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და პროფკავშირების რაიონული (საქალაქო) კომიტეტის თავმჯდომარეებმა:

— უზრუნველყონ სკოლის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს შორის შეთანხმების დროული გაფორმება შრომის დაცვის ღონისძიებებზე; შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა პერიო-

დულად განიხილონ კოლეგიებსა, სახალხო განათლების საბჭოებსა და პროფკავშირების რაიკომების (ქალაქკომების) სხდომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დათვალიერების შედეგების მასალები სკოლებმა, სკოლა-ინტერნატებმა და სკოლამდელმა დაწესებულებებმა წარუდგინონ დაქვემდებარების მიხედვით რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებებს და პროფკავშირის რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებს არა უგვიანეს 20 მაისისა, ხოლო თავის მხრივ რაიონულმა (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის რაიკომებმა (ქალაქკომებმა) შეჯამებული მასალა წარადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში არა უგვიანეს 25 მაისისა, თანდართული ფორმის სახით (იხ. დანართი № 2).

6. გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ დათვალიერების მიმდინარეობა რესპუბლიკის სკოლებსა, საბავშვო ბაღებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

დანართი № 1
შეთანხმებულია
განათლების, უმაღლესი სკოლე-
ბისა და სამეცნიერო დაწესებულე-
ბების მუშაკთა პროფკავშირის სა-
ქართველოს რესპუბლიკური კო-
მიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

# დებულება

## სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

## 1. საზოგადოებრივი დათვალიერების ამოცანები და ჩატარების პირობები

1. სკოლებში, სასწავლო სახელოსნოებსა და კაბინეტებში, საწარმოო სწავლების ბაზებსა და საცდელ ნაკვეთებზე, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა მუშაკებისა და მოსწავლეთათვის.

2. სკოლის მთელი კოლექტივის ფართოდ ჩაბმა უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და მათი თავიდან აცილების მიზნით.

3. სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისა და ადმინისტრაციის მიერ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება დათვალიერების ამოცანების შესახებ შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის გაუმჯობესების საქმეში.

4. დათვალიერების დაწყებამდე ტარდება საერთო კრებები, თათბირები, სადაც ისმენენ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენლების მოხსენებებს შრომის დაცვის მდგომარეობის, საზოგადოებრივი დათვალიერების ამოცანებისა და მისი ჩატარების წესების შესახებ; ამტკიცებენ დამთვალიერებელი კომისიის შემადგენლობას.

კომისია იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე—სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, კომისიის წევრები—საზოგადოებრივი ინსპექტორი, შრომის მასწავლებელი, სკოლის ალკკ ორგანიზაციაში აქტიურად მომუშავე ამხანაგი, სკოლის ექიმი, სკოლის კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრი და სხვ.

სკოლაში დამთვალიერებელი კომისიის შემადგენლობა პერსონალურად მტკიცდება სკოლის პროფკავშირის ადგილკომის სხდომაზე.

ანალოგიური დამთავლიერებელი კომისიები იქმნება პროფკავშირის რაიკომებსა და ქალაქკომებში, რომელთა პრეზიდიუმის სხდომებზეც ხდება ამ კომისიის დამტკიცება.

საზოგადოებრივი დათვალიერება—კონკურსის ჩამტარებელი კომისია, რომელსაც დათვალიერების პერიოდში ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ სკოლის დირექტორი და პროფკავშირული კომიტეტი, ორგანიზაციას უკეთებს შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ შემოსული წინადადებების შეგროვებას, იხილავს მათ და აწესებს მიღებული წინადადებების შესრულების ვადებს.

შრომის დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებაზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოები და პროფკავშირული კომიტეტები.

## დათვალიერების ძირითადი მაჩვენებლები და შედეგების შეჯამება

1. საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება.

2. შრომის დაცვის ღონისძიებათა შეთანხმების დროულად დადება, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შრომის დაცვისა, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებების ზუსტი გატარება.

3. სასკოლო შენობების, სახელოსნოების, კაბინეტების, სასადილოების, საერთო საცხოვრებლების, ეზოების საწყობების, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსების და სამუშაო ადგილების სუფთად და სათანადო წესრიგში ყოფნა.

4. სახელოსნოების, კაბინეტების და სხვა სასკოლო სათავსებისა და ტერიტორიის განათება მოქმედი ნორმების შესაბამისად.

5. მოწყობილობათა, დაზგების, ჩარხების, მანქანების, ელექტრო და სავენტილაციო მეურნეობის მოვლა-პატრონობა და მათი ექსპლოატაციის უსაფრთხოების ტექნიკის ნორმებისა და წესების მოთხოვნათა დაცვა.

6. შრომის კანონმდებლობის მტკიცედ დაცვა. საწარმოო პრაქტიკის დროს შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების ზუსტად შესრულება; სავენტილაციო მეურნეობის სათანადო წესრიგში მოყვანა, გამჭოლი ქარის თავიდან აცილება და სასკოლო შენობების მომზადება ზამთრის პირობებში მუშაობისათვის.

7. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციის გაუმჯობესება; უსაფრთხოების ტექნიკის დარგში ელექტროდანადგარებზე მომუშავე თანამშრომლებთან, ელექტრომონტიორებთან და ცეცხლფარეშებთან, ფიზიკის და ქიმიის მასწავლებლებთან ყოველწლიური ატესტაციის დროული ჩატარება. სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა მუშაობის უსაფრთხო წესების ინსტრუქციებითა და პლაკატებით.

8. საზოგადოებრივი დათვალიერების მსვლელობის დროს საჭიროა ლიკვიდირებულ იქნეს ყველა გამოვლინებული ნაკლოვანებანი, რომელთა თავიდან აცილება არ მოითხოვს ხანგრძლივ დროსა და კაპიტალურ დანახარჯებს. ღონისძიებანი, რომლებიც არ შეიძლება შესრულდეს მოკლე ვადაში, დამატებით შეტანილ უნდა იქნან შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებათა შეთანხმებაში.

9. საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსის დასასრულს დამთვალიერებელი კომისიები აჯამებენ დათვალიერება-კონკურსის შედეგებს, რომლის დროსაც მოწინავეობაში ლებულობენ:

ა) დათვალიერება-კონკურსის ძირითად მაჩვენებელთა შესრულებასა შრომის პირობების გაუმჯობესებასა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

ბ) დადგენილ ვადებში შრომის დაცვის შეთანხმების დროულ დადებასა და შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებების შესრულებას.

გ) დათვალიერების პერიოდში შემოსულ წინადადებების რაოდენობას, მათ ფაქტიურ შესრულებასა და ეფექტურობას.

დ) სახელოსნოების, კაბინეტებისა და სხვა სასკოლო სათავსოების მოვლა-შენახვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესაბამისად.

ე) შრომის კანონმდებლობის დაცვას და სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფას.

ვ) შრომის დაცვის ნომენკლატურულ ღონისძიებებზე დაშვებული თანხების ათვისების შესახებ ანგარიშის დროულ წარდგინებას სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმა № 7 ტ-ს მიხედვით, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ ნაკრები ანგარიშის წარდგენას განათლების სამინისტროში და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში.

10. სკოლაში დათვალიერების შედეგები შეჯამდება პროფკავშირის ადგილკომის გაფართოებულ სხდომაზე ადმინისტრაციასა და დამთვალიერებელ კომისიასთან ერთად, სადაც უნდა გამოვლინდეს სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები, ლაბორატორიები, რომლებმაც დათვალიერების პერიოდში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. დათვალიერების შედეგებზე სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.

სახელოსნოების, კაბინეტების, ლაბორატორიების და სხვა სამუშაო უბნების გამგეები, სადაც მიღწეულია საუკეთესო შედეგები, საზოგადოებრივი ინსპექტორები და მუშაკები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დათვალიერებაში და მიღებულ წინადადებათა დანერგვაში, რეკომენდებულია წახალისებულ იქნან საპატიო სიგელით დაჯილდოებით, მადლობის გამოცხადებით და სხვ.

დათვალიერების ჩატარების ანგარიში უნდა წარედგინოს პროფკავშირის რაიონულ (საქალაქო) კომიტეტს და სახალხო განათლების განყოფილებას.

11. პროფკავშირის სარაიონო (საქალაქო) კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად შეჯამდება დათვალიერების შედეგები, გამოვლინდება სკოლები, რომლებმაც მიაღწიეს უკეთეს მაჩვენებლებს.

სკოლის დირექტორების, კაბინეტების და სახელოსნოების გამგეების, პროფაქტივის კარგი მუშაობის შედეგები შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნისათვის, დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის, აღინიშნება ბრძანებით საქალაქო, სარაიონო განათლების განყოფილებების მიერ.

12. პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ოლქის, რაიონის, ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებები აჯამებენ რა დათვალიერების შედეგებს, განსაზღვრავენ რაიონებს, ქალაქებს, სკოლებს, რომლებმაც უკეთეს შედეგებს მიაღწიეს და დათვალიერებაში გამარჯვებულ სახალხო (რაიონული, საქალაქო) განათლების განყოფილებების ხელმძღვანელებს, სკოლის დირექტორებს, პროფაქტივს, კაბინეტებისა და სახელოსნოების გამგეებს წარუდგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად აჯამებს დათვალიერების შედეგებს და ერთობლივი გადაწყვეტილებით აღნიშნავს მუშაობას იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პროფკავშირების კომიტეტების თავმჯდომარეებისა და აქტივისა, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესების დაცვის საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

(სკოლის, სკოლა-ინტერნატის) სკოლამდელი დაწესებ. დასახელება) ანგარიში

## შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგებზე 197____ წელში

| № რიგზე | ძირითადი მაჩვენებლები | ზომის ერთეული | 197____ წლის 1 აპრილის მდგომარეობით |
|---|---|---|---|
| | შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესრულება: | | |
| 1 | დათვალიერების მიმდინარეობის დროს შეტანილ წინადადებათა რაოდენობა. | რაოდენობა | |
| 2 | მიღებულ წინადადებათა რაოდენობა მათ შორის: | | |
| | ა) დანერგილია დათვალიერების მიმდინარეობის დროს | " | |
| | ბ) იმყოფება დანერგვის სტადიაში | " | |
| 3 | შრომის დაცვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რაოდენობა მათ შორის: | " | |
| | ა) მთლიანად შესრულებულია | " | |
| | ბ) ნაწილობრივ შესრულებულია | " | |
| 4 | შრომის დაცვის ღონისძიებებზე დაშვებული თანხების ათვისება: | | |
| | ა) ასიგნება მიმდინარე წელში | ათას მან. | |
| | ბ) ფაქტიური ხარჯვა | " | |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 5 | უზრუნველყოფა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო საშუალებით: | | |
| | ა) სა[illegible]ხაფოები—ნორმით | წერტი | |
| | ფაქტიური | „ | |
| | ბ) საგარდერობოები—ნორმით | ადგილი | |
| | ფაქტიური | „ | |
| | გ) პირსაბანები—ნორმით | ონკანი | |
| | ფაქტიური | „ | |
| | დ) სანიტარული კვანძები—ნორმ. | უნიტაზი | |
| | ფაქტიური | „ | |
| 6 | ფიზიკის კაბინეტი | მ² | |
| 7 | ქიმიის კაბინეტი | „ | |
| 8 | ბიოლოგიის კაბინეტი | „ | |
| 9 | სასწავლო სახელოსნო (სადურგლო, საზეინკლო) | „ | |
| 10 | შეთეთრებულია შენობების (სკოლის, სკოლა-ინტერნატების, ბაგა-ბაღის და ა. შ.) თასადები | მ² | |
| 11 | დარგულია ხეები და ბუჩქები | ცალი | |
| 12 | მოასფალტებულია (სკოლის, სკოლა-ინტერნატის, ბაგა ბაღის) მისასვლელი გზები, ეზოები, ტერიტორია და ა. შ. | | |
| 13 | საკლასო ოთახებში, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტებში და სასწავლო სახელოსნოებში განათება | | |
| | ნორმით | ლუქსი | |
| | ფაქტიური | „ | |
| 14 | ტრავმატულ შემთხვევათა რაოდენობა | რაოდენ. | |

შენიშვნა: ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

სკოლის (სკოლა-ინტერნატის, ბაგა-ბაღის) დირექტორი:

პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი დადგენილება—ნორჩ მხაზველთა მე-9 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . 3
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება ბუნების ნორჩ მეგობართა მე-6 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . 13
3. ბრძანება № 541—მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის 1972 წლის XII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ . . . 28
4. ბრძანება № 554—მშობლიურ ლიტერატურაში მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეხუთე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . 37
5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი დადგენილება მოსწავლეთა 26-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და 27-ე რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . 44
6. ბრძანება № 582—საბავშვო დრამატული ნაწარმოებების კონკურსის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 59
7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის 1971 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების II საკავშირო დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 61
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება სკოლებსა სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შრომის დაცვის უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ . . . . . . . . . 69

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უტ. ოზოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-72 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5

შეკვ. № 243. უე—05232 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უტ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Ут. Чхеидзе № 19